ბმა „პარკვუდის“
წევრთა საერთო კრების ოქმი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ბმა „პარკვუდის“ (შემდგომში ტექსტში **„ამხანაგობა“**), წევრთა საერთო კრება გაიმართა 2023 წლის 10 ნოემბერს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #80, დასახლება პარკვუდი.

მრავალბინიან სახლში ბინათა/მესაკუთრეთა საერთო რაოდენობაა: 141
დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობა: 97

საერთო კრება გადაწყვეტილების უნარიანია და უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ,,ამხანაგობის“ წევრი/თავმჯდომარე ვაჟა ბერიაშვილი (პ/ნ 01030004829).

საერთო კრება მოწვეულ იქნა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ,,ამხანაგობის“ კუთვნილ ეზოში ფანჩატურის და ხეივნის მშენებლობა/მოწყობა, შესაბამისი პროექტების განხილვა, მათი დაფინანსების საკითხები და მშენებლობის პრიორიტეტები;
2. ,,ამხანაგობის'' ინტერესების დაცვის მიზნით, წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობას ქ. თბილისის მერიაში და სხვა საჯარო დაწესებულებებში მშენებლობის პროექტების შეთანხმების და ნებართვის გაცემის მიზნით. ამხანაგობის წევრის არჩევა/განსაზღვრა, ვინც ხელს მოაწერს ამ პირზე გასაცემ მინდობილობას.

„ამხანაგობის“ წევრთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ეზოში მოვახდინოთ როგორც ფანჩატურის, ასევე ხეივნის მშენებლობა/მოწყობა, წარმოდგენილი პროექტების და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. მშენებლობის დაწყებამდე მოხდეს პროექტების შეთანხმება ქ. თბილისის მერიაში;
2. პროექტის მერიაში შესათანხმებლად გაიცეს მინდობილობა ტარიელ მიქაუტაძეზე (პ/ნ 04001014769). მიენიჭოს მას უფლებამოსილება ამხანაგობის სახელით, ხელი მოაწეროს პროექტის მერიაში შეთანხმებისათვის აუცილებელ ყველა საჭირო დოკუმენტს და წარმოადგინოს ,,ამხანაგობა“ ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან ურთიერთობაში. ამხანაგობის თავმჯდომარეს, ბ-ნ ვაჟა ბერიაშვილს (პ/ნ 01030004829), მიენიჭოს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ტარიელ მიქაუტაძის სახელზე გასაცემ რწმუნებულებას/მინდობილობას.

კრების თავმჯდომარე/ამხანაგობის თავმჯდომარე: ვაჟა ბერიაშვილი ვაჟა ბერიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N231652331**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**30.11.2023 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ბაჩანა შენგელია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა 13**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**032 243 11 46**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**85561098176023**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

2023 წლის 30 ნოემბერს, **საქართველოს ნოტარიუს ბაჩანა შენგელიას შემცვლელ პირს მარიამი ჭანტურიას,** სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ.N13, მომმართა: **ვაჟა ბერიაშვილმა,** რომელმაც წარმოადგინა დოკუმენტი (**ბმა „პარკვუდის“ წევრთა საერთო კრების ოქმი**) 2 ეგზემპლარად და მოითხოვა მასზე თავისი 2 ხელმოწერის სანოტარო წესით დადასტურება.

შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა: **ვაჟა ბერიაშვილმა** (დაბ.17.05.1974წ. პ/ნ 01030004829, მის. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 80 ბლოკი ბ ბ. 19). შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსის შემცვლელი პირი არ ადასტურებს დოკუმენტის ტექსტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **19.16** აქედან: **12.00 ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, **დღგ: 2.16 ლარი;** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, **5.00 ლარი** სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 39-ე მუხლის.

ნოტარიუს ბაჩანა შენგელიას
შემცვლელი პირი მარიამი ჭანტურია